ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №10
2013 წლის 25 აპრილი

ქ. ზესტაფონი

,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ'' ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 22 ივლისის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ'' ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 22 ივლისის №21 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში (სსმ. ვებგვერდი, 5, 04/08/2010 წ.) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

II თავის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

„1) გამგებელს ჰყავს ორი მოადგილე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **მერაბ მასხარაშვილი**